

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი

თავი I

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის 9 თვის ფაქტი			2022 წლის პროექტი		
		სულ	საკუთარი	სახ. ბიუჯეტი	სულ	საკუთარი	სახ. ბიუჯეტი
<u>შემოსავლები</u>	<u>16448.1</u>	<u>11821.1</u>	<u>7113.0</u>	<u>4708.1</u>	<u>18555.2</u>	<u>11192.4</u>	<u>7362.8</u>
გადასახადები	5466.3	5170.0	5170.0	0.0	7900.5	7900.5	0.0
გრანტები	9504.3	5708.1	1000.0	4708.1	7970.5	607.7	7362.8
სხვა შემოსავლები	1477.5	943.0	943.0	0.0	2684.2	2684.2	0.0
<u>ხარჯები</u>	<u>8614.3</u>	<u>7129.6</u>	<u>6286.3</u>	<u>843.3</u>	<u>12681.6</u>	<u>11716.3</u>	<u>965.3</u>
შრომის ანაზღაურება	4817.9	3657.6	3546.2	111.4	6819.1	6663.9	155.2
საქონელი და მომსახურება	2705.1	2243.8	1792.8	451.0	4585.5	3790.4	795.1
პროცენტი	53.6	20.7	20.7	0.0	35.0	35.0	0.0
სუბსიდიები	125.8	120.8	120.8	0.0	206.0	206.0	0.0
გრანტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	603.5	522.6	514.3	8.3	720.4	705.4	15.0
სხვა ხარჯები	308.4	564.1	291.5	272.6	315.6	315.6	0.0
<u>საოპერაციო საღებავი</u>	<u>7833.8</u>	<u>4691.6</u>	<u>826.7</u>	<u>3864.8</u>	<u>5873.6</u>	<u>-523.9</u>	<u>6397.5</u>
<u>არაფინანსური აქტივების ცვლილება</u>	<u>7075.2</u>	<u>4372.2</u>	<u>109.0</u>	<u>4263.2</u>	<u>8411.5</u>	<u>-16.8</u>	<u>8428.3</u>
ზრდა	7859.2	4527.6	264.4	4263.2	8995.2	566.9	8428.3
კლება	784.0	155.4	155.4	0.0	583.7	583.7	0.0
<u>მთლიანი საღებავი</u>	<u>758.6</u>	<u>319.3</u>	<u>717.7</u>	<u>-398.4</u>	<u>-2537.9</u>	<u>-507.1</u>	<u>-2030.8</u>
<u>ფინანსური აქტივების ცვლილება</u>	<u>676.0</u>	<u>277.8</u>	<u>676.2</u>	<u>-398.4</u>	<u>-2620.9</u>	<u>-590.1</u>	<u>-2030.8</u>
ზრდა	829.3	1107.1	802.2	304.9	0.0	0.0	0.0
კლება	153.3	829.3	126.0	703.3	2620.9	590.1	2030.8
<u>ვალდებულებების ცვლილება</u>	<u>-82.9</u>	<u>-41.5</u>	<u>-41.5</u>	<u>0.0</u>	<u>-83.0</u>	<u>-83.0</u>	<u>0.0</u>
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	82.9	41.5	41.5	0.0	83.0	83.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	82.9	41.5	41.5	0.0	83.0	83.0	0.0
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0	0	0.0

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის 9 თვის ფაქტი			2022 წლის პროექტი		
		სულ	საკუთარი	სახ. ბიუჯეტი	სულ	საკუთარი	სახ. ბიუჯეტი
შემოსულობები	17232.1	11976.5	7268.4	4708.1	19138.9	11776.1	7362.8
შემოსავლები	16448.1	11821.1	7113.0	4708.1	18555.2	11192.4	7362.8
არაფინანსური აქტივების კლება	784.0	155.4	155.4	0.0	583.7	583.7	0.0
გადასახდელები	16556.4	11698.7	6592.2	5106.5	21759.8	12366.2	9393.6
ხარჯები	8614.3	7129.6	6286.3	843.3	12681.6	11716.3	965.3
არაფინანსური აქტივების ზრდა	7859.2	4527.6	264.4	4263.2	8995.2	566.9	8428.3
ვალდებულებების კლება	82.9	41.5	41.5	0.0	83.0	83.0	0.0
ნაშთის ცვლილება	675.7	277.8	676.2	-398.4	-2620.9	-590.1	-2030.8

:

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 18 555,2 ათასი ლარით:

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის 9 თვის ფაქტი			2022 წლის პროექტი		
		სულ	საკუთარი	სახ. ბიუჯეტი	სულ	საკუთარი	სახ. ბიუჯეტი
შემოსავლები	16448.1	11821.1	7113.0	4708.1	18555.2	11192.4	7362.8
გადასახადები	5466.3	5170.0	5170.0	0.0	7900.5	7900.5	0.0
გრანტები	9504.3	5708.1	1000.0	4708.1	7970.5	607.7	7362.8

სხვა შემოსავლები	1477.5	943.0	943.0	0.0	2684.2	2684.2	0.0
-------------------------	--------	-------	-------	-----	--------	--------	-----

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 7900.5 ათასი ლარით.

გადასახადები	5466.3	5170.0	5170.0	0.0	7900.5	7900.5	0.0
ქონების გადასახადი	2099.6	2150.8	2150.8	0.0	2400.0	2400.0	0.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2099.6	2150.8	2150.8	0.0	2400.0	2400.0	0.0
უცხოური საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)		0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)		0.0	0.0	0.0	0.0		0.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე		0.0	0.0	0.0	0.0		0.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე		0.0	0.0	0.0	0.0		0.0
სხვა გადასახადები (დღგ)	3366.7	3019.2	3019.2	0.0	5500.5	5500.5	0.0

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 7970,5 ათასი ლარით.

გრანტები	9504.3	5708.1	1000.0	4708.1	7970.5	607.7	7362.8
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	586.4	416.4	0.0	416.4	965.3	0.0	965.3
გათანაბრებითი ტრანსფერი	0.0	0.0	0.0		0.0	0.0	0.0
სპეციალური ტრანსფერი	650.0	1000.0	1000.0	0.0	550.0	550.0	0.0
კაპიტალური ტრანსფერი	8207.9	4291.7	0.0	4291.7	6397.5	0.0	6397.5
გრანტები მიმდინარე დანიშნულების	60.0	0.0	0.0	0.0	57.7	57.7	

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 2684.2 ათასი ლარით.

სხვა შემოსავლები	1477.5	943.0	943.0	0.0	2684.2	2684.2	0.0
შემოსავლები საკუთრებიდან	1292.4	830.7	830.7	0.0	2468.2	2468.2	0.0
პროცენტები	43.0	31.3	31.3	0.0	50.0	50.0	0.0
დივიდენდები		0.0	0.0	0.0	0.0		0.0
რენტა	1249.4	799.4	799.4	0.0	2418.2	2418.2	0.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის	1173.4	748.4	748.4	0.0	2358.2	2358.2	0.0
მოსაკრებელი წყლის რესურსებით სარგებლობისთვის	1154.1	584.0	584.0	0.0	1200.0	1200.0	0.0
მოსაკრებელი წიაღისეულით სარგებლობისთვის	0.6	17.2	17.2	0.0	0.0		0.0
მოსაკრებელი სახელმწიფო ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისთვის	13.7	4.5	4.5	0.0	0.0		0.0
სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი	5.0	142.7	142.7	0.0	1158.2	1158.2	0.0
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში გადაცემიდან	76.0	51.0	51.0	0.0	60.0	60.0	0.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	116.2	18.7	18.7	0.0	65.0	65.0	0.0
ადმინისტრაციული მოსაკრებელი და გადასახდელები	116.2	18.7	18.7	0.0	65.0	65.0	0.0
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის	7.1	5.2	5.2	0.0	35.0	35.0	0.0
მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე	99.7	13.5	13.5	0.0	30.0	30.0	0.0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	9.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	41.7	67.0	67.0	0.0	151.0	151.0	0.0

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში		51.5	51.5	0.0	146.0	146.0	0.0
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო	41.7	15.5	15.5	0.0	5.0	5.0	0.0
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	27.2	26.6	26.6	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს **12 681,6** ათასი ლარით.

ხარჯები	8614.3	7129.6	6286.3	843.3	12681.6	11716.3	965.3
შრომის ანაზღაურება	4817.9	3657.6	3546.2	111.4	6819.1	6663.9	155.2
საქონელი და მომსახურება	2705.1	2243.8	1792.8	451.0	4585.5	3790.4	795.1
პროცენტი	53.6	20.7	20.7	0.0	35.0	35.0	0.0
სუბსიდიები	125.8	120.8	120.8	0.0	206.0	206.0	0.0
გრანტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	603.5	522.6	514.3	8.3	720.4	705.4	15.0
სხვა ხარჯები	308.4	564.1	291.5	272.6	315.6	315.6	0.0

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს **8411.5** ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა **8995.2** ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება **583,7** ათასი ლარით.

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პრიორიტეტების მიხედვით მიხედვით	2019 წლის ფაქტი	2020 წლის 9 თვის ფაქტი	2021 წლის პროგნოზი
01 00	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	11.5	1.2	170,0
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	6496.7	4131.1	8788.1
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1.1	4.1	5.0
04 00	განათლება	767.0	282.4	0.0
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	582.9	108.8	32.1
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0
	სულ	7859.2	4527.6	8995.2

არაფინანსური აქტივების კლავა	2020 წლის ფაქტი	2020 წლის 9 თვის ფაქტი	2022 წლის პროექტი
ძირითადი აქტივები	96.8	747.2	0.0
არაწარმოებული აქტივები	18.0	36.8	583,7
სულ	114.8	784.0	583,7

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რედაქციით:

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის 9 თვის ფაქტი	2022 წლის პროექტი
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2845.9	2087.9	4288.4

აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2703.0	2024.2	4288.4
აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2560.1	2024.2	4018.4
ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	150.0
ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	142.9	63.7	120.0
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0.0	0.0	0.0
თავდაცვა	128.3	92.2	173.7
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა თავდაცვის სფეროში	128.3	92.2	173.7
ეკონომიკური საქმიანობა	5554.6	4562.0	9027.7
საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა	0.0	0.0	0.0
ტრანსპორტი	3260.3	2190.9	4364.0
საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	3260.3	2190.9	4364.0
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	2294.3	2371.1	4663.7
გარემოს დაცვა	502.5	394.3	1015.0
ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	487.7	378.7	973.0
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	14.8	15.6	42.0
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1595.7	356.6	445.1
ბინათმშენებლობა	0.0	0.0	0.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	115.2	0.0	35.0
წყალმომარაგება	1215.6	0.0	0.0
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	264.9	356.6	410.1
ჯანმრთელობის დაცვა	104.7	130.4	188.0
საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	104.7	130.4	188.0
დასვენება, კულტურა და რელიგია	2449.4	1632.5	2940.0
მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1065.3	528.2	1039.2
მომსახურება კულტურის სფეროში	1291.1	1084.1	1775.7
რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	93.0	20.2	125.1
განათლება	2504.4	1663.0	2635.9
სკოლამდელი აღზრდა	1348.9	1028.3	1799.5
ზოგადი განათლება	1144.1	632.6	828.0
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	11.4	2.1	8.4
სოციალური დაცვა	870.9	779.8	1046.0

სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	870.9	779.8	1046.0
სულ	16556.4	11698.7	21759.8

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს -- **2537.9** ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო - **5873.6** ათასი ლარით.

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის 9 თვის ფაქტი	2022 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	7833.8	4691.6	5873.6
მთლიანი სალდო	758.6	319.3	2537.9

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს **2620,9** ათასი ლარით. ფინანსური აქტივების კლება **2620,9** ათასი ლარის ოდენობით წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე არსებულ ნაშთს, რომლის გამოყენებაც მოხდება 2022 წლის განმავლობაში.

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის 9 თვის ფაქტი	2022 წლის პროექტი
ზრდა	829.2	1107.1	0
კლება	153.3	829.3	2620,9
სულ ფინანსური აქტივების ცვლილება	675.7	277.8	2620,9

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს - **83.0** ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების მიზნით, შეიქმნას სარეზერვო ფონდი **150.0** ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის“ შესაბამისად მერის მიერ;

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 965,3 ათასი ლარი მიიმართოს:

- ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 110.0 ათასი ლარი;
- ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 85.0 ათასი ლარი;
- გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 10.0 ათასი ლარი;
- დ) „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 5.0 ათასი ლარი.
- ე) საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულებით „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ გამოყოფილი თანხა 755,3 ათასი ლარი მიიმართება მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლება მოსილების განსახორციელებლად.

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ჩონატურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 16. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **9472,8** ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის პროექტი
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	9472,8
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	4364,0
02 01 01	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	75.0
02 01 02	გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება	4289,0
02 02	გარე განათება	410.1
02 02 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	75.1
02 02 02	გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა	5.0
02 02 03	გარე განათების ელექტრო ენერჯის ხარჯი	330.0
02 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	3328,2
02 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	747,0
02 05	საპროექტო-საბარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემენა	239,6
02 06	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები	348,9
02 07	ა(ა)იპ „კურორტი ბახმარო“	35,0

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	დაფინანსება ათას ლარში
	02 01		4364,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ტრანსპორტის და მოსახლეობის შეუფერხებელი გადაადგილება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება. ზამთრის პერიოდში დიდთოვლიანობის შემთხვევაში განხორციელდება ჭარბი თოვლის საფარისაგან გზების განთავისუფლება.		
მიღწეული შედეგი	უზრუნველყოფილია მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 01		75.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები, შიდა გზების მოხრეშვა, ზამთრის პერიოდში დიდთოვლიანობის შემთხვევაში განხორციელდება ჭარბი თოვლის საფარისაგან და ჩამონაშალი კლდოვანი ნარჩენებისაგან გზების განთავისუფლება.		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 02		4289,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და სოვრციითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში 2022 წელს გაგრძელდება და დასრულდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ვიზიტორთა რაოდენობის ზრდისა და ტურიზმის არეალის გაფართოებისათვის სოფელ შუა ამაღლების უდაბნოს სამონასტრო კომპლექსთან საგზაო და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის მეორე ეტაპის სამუშაოები. სოფელ კოხნარი-საჭამიასერის გზის რეაბილიტაცია, სოფელ ჩხაკაურაში საავტომობილო გზის ბეტონის საფარით მოწყობა, სოფელ ქვაბლაში ბეტონის საფარიანი გზის მოწყობის (ტბისყურის მიმართულებით) სამუშაოები, სოფელ ნაკადულსი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, სოფელ ზემოფარცხმასი(მეფარიშვილების უბანი) საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, სოფელ ჯვარცხმა-გორაბერეჟოლის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია, დაბა ჩოხატაურში ნინოშვილის ქუჩის I ჩიხის რეაბილიტაცია, სოფელ სამებაში გზის რეაბილიტაცია, სოფელ შუაამაღლებაში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, სოფელ დაბლაციხეში ე.წ. ფუნედან სკოლამდე, საყვავისტყის მიმართულებით ადმინისტრაციულთან და ჩხიკვაძეების უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. დაბლაციხე - ბუკისციხის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია სოფელ შუა ამაღლებაში, ტაძართან და გურული ენდემური ჯიშის ღვინის მარანთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. სოფელ ქვაბლა-ზოტის დამაკავშირებელი ახალი საავტომობილო ხიდის მშენებლობა. დაბა ბახმაროში შიდა გზების რეაბილიტაცია.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათება	დაფინანსება ათას ლარში
	02 02		410,1
პროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სერვის ჯგუფი		

პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა და ელექტრო ენერჯის ხარჯის დაფინანსება. რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:</p> <ul style="list-style-type: none"> - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება და ზოგ შემთხვევაში ახლით ჩანაცვლება; - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება.
მოსალოდნელი შედეგი	<p>მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 01		75,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სერვის ჯგუფი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. სამსახურის ერთ ერთი მთავარი საქმიანობაა გარე განათების ქსელის მოვლა- შენახვა- ექსპლოატაცია რაც სამსახურის მიერ აქტიურად ხორციელდება, დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში ექსპლოატაციაშია 4200 გარე განათების ფარი თავის აღრიცხვის კვანძებით. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> - დაზიანებული ნათურების შეცვლა - დაზიანებული და უვარგისი განათების ბოძების შეცვლა - დაზიანებული (მ.შ სტიქიისგან) სადენებს შეცვლა აღდგენა - აღრიცხვის კვანძების აღდგენა - განახლება - გარე განათების ქსელი მუდმივი მეთვალყურეობა - ელექტრო სათადარიგო ნაწილების შეძენა დასაწყობება <p>2022 წლის მანძილზე გარე განათების ქსელი იფუნქციონირებს გამართულად.</p>		

მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად.
--------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 02		5,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სერვის ჯგუფი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	2022 წელში განხორციელდება გარე განათების ახალი ბოძების, განათების ფარების და ელ. ხაზების მოწყობა(ქსელის გაფართოება).		
მოსალოდნელი შედეგი	მოწყობილია გარე განათების ახალი სანათები და გაზრდილია გარე განათებით უზრუნველყოფილი გზების მონაკვეთი		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ელექტრო ენერჯის ხარჯი	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 03		330,0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სერვის ჯგუფი
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის ელექტრო ენერჯის ხარჯი 330,0 ათასი ლარის ოდენობით.
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია დროულად გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის შედეგად წარმოშობილი ელ. ენერჯის ხარჯის გადახდა.

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	02 03		3328,2
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და სოვრციითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება და ექსპლოატაციასთან დაკავშირებული მომსახურების უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები, კერძოდ: მოხდება არსებული და ახალი წყალგაყვანილობის ქსელის რეაბილიტაცია, ჩატარდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სარემონტო სამუშაოები და ადმინისტრაციული შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები. მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება.		
მიღწეული შედეგი	რეაბილიტირებულია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები, რეაბილიტირებული და მოწყობილია წყალგაყვანილობის სისტემები, რეაბილიტირებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები.		

--	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კეთილმოწყობის ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	02 03 01		3328,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება და ექსპლოატაციასთან დაკავშირებული მომსახურების უზრუნველყოფა</p> <p>ჩოხატაურის ტურისტული მრავალფეროვნების განვითარებისა და ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერისათვის (მე-2 ეტაპი) ახალი რეკრეაციულ-მოსასვენებელი პარკის მოწყობა. საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტის ხარჯებით განხორციელდება პროექტი „ბუკისციხის მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის შექმნის გზით თემის აღორძინების ხელშეწყობა.“ სოფ. ბუკნარში „თანასწორობის ცენტრის“ შექმნის მიზნით სოფლის ცენტრში არსებული შენობის ნაწილობრივ რეაბილიტაცია.სოფელ ქვენობანში სკვერის მოწყობა. ნოდარ დუმბაძის სახლ - მუზეუმის რეაბილიტაციის და ეთნოგრაფიული სივრცეების მოწყობის სამუშაოები. გორაბერეჟოლის დენდროლოგიური პარკის რეაბილიტაციის სამუშაოები.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოწესრიგებული ინფრასტრუქტურული სივრცის შექმნა. სოფ. ბუკნარში შექმნილია „თანასწორობის ცენტრი“ და ცენტრის ფუნქციონირების მიზნით რეაბილიტირებულია შესაბამისი ფართი.		

	კოდი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	დაფინანსება ათას ლარში
--	------	---	---------------------------

ქვეპროგრამის დასახელება	02 04		747,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და სოვრციითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში (საერთო კრებაზე) მოსახლეობასთან შეხვედრისას, შეთანხმებით განსახორციელებელი პროექტების დაფინანსება.		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია მოსახლეობის მოთხოვნები.		

ასახელება	კოდი	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა	დაფინანსება ათას ლარში
	02 05		239.6
პროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და სოვრციითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაგეგმილი ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.		
მოსალოდნელი შედეგი			

	უზრუნველყოფილია შესყიდული საპროექტო დოკუმენტაციის მაღალი ხარისხი.
--	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	02 06		348,9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და სოვრციითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების და სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები.		
მოსალოდნელი შედეგი	ადმინისტრაციულ ერთეულებში მოწესრიგებული ინფრასტრუქტურული სივრცის შექმნა.		

	კოდი	ა(ა)იპ „კურორტი ზახმარო“	დაფინანსება ათას ლარში
--	------	--------------------------	------------------------

ქვეპროგრამის დასახელება	02 07	35,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „კურორტი ბახმარო“	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	კურორტ ბახმაროს ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ტურისტების რაოდენობის გაზრდა. უზრუნველყოფილია კურორტ ბახმაროს დამსვენებლებისთვის გაუმჯობესებული პირობები და გაზრდილი ტურისტების რაოდენობა მ.შ. ზამთრის სეზონზეც.	
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია კურორტ ბახმაროს ინფრასტრუქტურის მოწესრიგება; გაზრდილია ტურისტების რაოდენობა.	

მუხლი 17. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1085,0 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის პროექტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1015,0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	973,0
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	42,0

პროგრამის დასახელება	კოდი 03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	დაფინანსება ათას ლარში 973,0
პროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სერვის ჯგუფი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში ხორცილდება დაბასა და მუნიციპალიტეტში შემავალი ადმ. ერთეულებიდან (სადაც განთავსებულია 317ერთეული ნაგავშემკრები ურნა) ნარჩენების შეგროვება და ნაგავსაყრელზე გატანა ყოველდღიურად.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ხორცილდება დაბა ბახმაროდან სეზონის პერიოდში ნარჩენების შეგროვება და ნაგავსაყრელზე გატანა ყოველდღიურად და ცენტრალური ქუჩების დაგვა-დასუფთავება.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ხორცილდება დაბის ცენტრალური ქუჩების დაგვა-დასუფთავება.</p> <p>პროგრამის ფარგლებში პერიოდულად ხორცილდება მუნიციპალიტეტში შემოსასვლელ და გასასვლელ მთავარ გზაზე ასევე ბახმაროს სეზონზე კურორტისკენ მიმავალ გზაზე გადაყრილი ნარჩენების შეგროვება და ნაგავსაყრელზე გატანა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობა, სასაფლაოების გაწმენდა, დასუფთავება, მოცეკვა და შესაწამლი სამუშაოების შესრულება. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება აღნიშნული სამუშაოებისათვის ხელშეკრულებით აყვანილ პირთა ხელფასები, სეზონურად საჭიროებისამებრ.</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დროულად განხორციელდება ნარჩენების შეგროვება და ნაგავსაყრელზე გატანა რაც მაქსიმალურად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება დასუფთავება და ნარჩენების გატანა; დასუფთავდება მუნიციპალიტეტის დაბისა და ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების გაწმენდის სამუშაოების განხორციელება.</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების თოვლის საფარისგან გაწმენდის სამუშაოების განხორციელება.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	დაფინანსება ათას ლარში
	03 02		42,0
პროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სერვის ჯგუფი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკების და სკვერების მოვლა-პატრონობა კერძოდ გასვლა-ფორმირება, შებარვა, გაცეცხვა, დასუფთავება, საფეხმავლო ბილიკების გაწმენდა სარეველებისგან, სარეველების შეწამვლა, ახალი ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა.</p> <p>ასევე ხორციელდება დუმბადის ქუჩაზე და კოსტავას ქუჩაზე ხე-მცენარეები შეთეთრების სამუშაოები.</p> <p>მუნიციპალიტეტში არსებული სკვერები და პარკები იქნება მოვლილი და დასუფთავებული</p>		
მოსალოდნელი შედეგი	დაბისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე დაირგვება ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავები; მოხდება მათი მორწყვა, შხამ ქიმიკატების შეტანა და ნიადაგის გაფხვიერება. განხორციელდება დაბისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და გზის ნაპირის გაცეცხვითი სამუშაოები.		

მუხლი 18. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **2635,9** ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის პროექტი
04 00	განათლება	2635,9

04 01	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	1799,5
04 02	განათლების სისტემის ხელშეწყობა	828,0
04 04	საჯარო მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამა.	8,4

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	04 01		1799,5
პროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „მომავალი“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალი“-ს მიზანია ბავშვთა ჰარმონიული განვითარება და სკოლისათვის მომზადება, მისი საქმიანობა ემყარება ჰუმანიზმის, დემოკრატიულობის, ტოლერანტობის და ბავშვთა უფლებების დაცვის პრინციპებს. სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი და ესტეტიკური აღზრდა, ნებისყოფის ფორმირება, სხვისი აზრის პატივისცემის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, ბავშვის კეთილდღეობაზე ზრუნვა, ოჯახთან ურთიერთკავშირი. საბავშვო ბაღები ახორციელებენ სკოლამდელი ასაკის ბავშვთა საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროგრამებს სასკოლო ასაკის მიღწევამდე. უნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 20 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 535 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>გაუმჯობესებულია საბავშვო ბაღებში სააღმზრდელო პროცესი; სრულყოფილია განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	განათლების სისტემის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	04 02		828,0
პროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა და მიზანი	გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაწყებითი და ზოგადი განათლების მქონე დაწესებულებების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა. განხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს საჯარო სკოლებში მოსწავლეების უფრო გააქტიურებას, სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილებასა და სხვა ღონისძიებების მოწყობას.		
მოსალოდნელი შედეგი	საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო პროცესის, ასევე არასასკოლო განათლების მსურველთა მოტივაციის ამაღლება, აღსაზრდელთა და მოზარდთა შემეცნებით-საგანმანათლებლო დონის ამაღლება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	04 04		8,4
პროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა და მიზანი	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად პროგრამის ფარგლებში მოხდება მერიისა და საკრებულოს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სხვადასხვა მიმართულებით კადრების გადამზადება		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ხელისუფლებაში დადასაქმებულ თანამშრომელთა ეფექტიანობის გაზრდა		

მუხლი 19. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **2940,0** ათასი ლარი. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და

სპორტული ღონისძიებები პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის პროექტი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2940,0
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1039,2
05 01 04 03	ა(ა)იპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ბახმარო	404,7
05 01 05	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი	473,5
05 01 06	სპორტული და საბავშვო ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	11,0
05 01 07	ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სარაგბო კლუბი „ღონე“	150,0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1775,7
05 02 01 02	კულტურის ცენტრი	980,7
05 02 09	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლები	390,0
05 02 10	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი	405,0
05 03	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	65,1
05 03 01	ახალგაზრდული საქმიანობის ხელშეწყობა	50,0
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	10,0

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01		1039,2
პროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ბახმარო , ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი, ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სარაგბო კუბი „ღონე“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა, სპორტულ ასოციაციასთან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებთან და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. კლუბების, ნაკრები გუნდების მომზადება და მონაწილეობა ქვეყნის და საერთაშორისო ასპარეზობებში.</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული სკოლებისა და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. განხორციელდება ლელობურთის და რაგბის განვითარების ხელშეწყობა</p>		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია მოზარდებში ჯანსაღი გარემოს შექმნა და სპორტის პოპულარიზაცია, სპორტულად აქტიური ახალგაზრდების რაოდენობის ზრდა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ბახმარო	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 04 03		404,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ბახმარო		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ბავშვთა საფეხბურთო აკადემია, სადაც სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიებში 120 მოზარდია გაერთიანებული.		
მოსალოდნელი შედეგი	ბავშვთა საფეხბურთო აკადემიაში ჩართული მოზარდების რაოდენობის გაზრდა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 05		473,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი, რომელიც ემსახურება მომავალი თაობების პროფესიონალ სპორტსმენებად ჩამოყალიბებას, მოეწყობა შეჯიბრებები :</p> <ul style="list-style-type: none"> - ნარდი - მუნიციპალიტეტის პირველობა. - ბილიარდი - მუნიციპალიტეტის პირველობა. - ჭადრაკი - მუნიციპალიტეტის პირველობა და რეგიონალურ შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად მოჭადრაკეთა მივლინება. 		

	<ul style="list-style-type: none"> - მაგიდის ჩოგბურთი - მუნიციპალიტეტის პირველობა. - საქართველოს დამოუკიდებლობის დღის 26 მაისისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიებები ცხენოსნობაში, ლელობურთში, ბაგირის გადაძალვაში და სხვა. - მუნიციპალიტეტის პირველობა ფრენბურთში - რუსეთის აგრესიის შედეგად სამაჩაბლოში დაღუპული ჩოხატაურელი მებრძოლების ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი. - ტრადიციული დოღი და სხვა ღონისძიებები, კურორტ ბახმაროში ფერისცვალების დღესასწაულთან დაკავშირებით. - აფხაზეთის ომში დაღუპული ჩოხატაურელი მებრძოლების ხსოვნის ტურნირი ფეხბურთში. - ბაზიერეობა - მუნიციპალიტეტის პირველობა და სხვა ღონისძიებები. - აღნიშნული ცენტრი აერთიანებს ძიუდოს, ბალახის ჰოკეის, მძლეოსნობის, ბერძნულ-რომაული, თავისუფალი ჭიდაობის, ტაილანდური კრივის, ქართული ჭიდაობის, კალათბურთის, ფრენბურთის ჭადრაკის სპორტულ წრეებს. სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს 12 სპორტული სახეობის 17 სექცია, სადაც გაერთიანებულია 315 მოსწავლე სპორტსმენი.
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>დამკვიდრებულია მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესი და გაზრდილია ინტერესი სპორტული ღონისძიებების მიმართ.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული და საბავშვო ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	დაფინანსება ათას ლარში
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	05 01 06	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	11,0

<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ქვეპროგრამის მიზანია სპორტული და საბავშვო ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა. სპორტული მოედნების მზადყოფნა დაგეგმილი და ჩასატარებელი მატჩებისათვის და ღონისძიებებისათვის.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტები შეუფერხებლად უმასპინძლებს წლის განმავლობაში გასამართ ყველა ღონისძიებას.</p>

<p>ქვეპროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი</p>	<p>ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სარაგბო კლუბი „ლონე“</p>	<p>დაფინანსება ათას ლარში</p>
	<p>05 01 07</p>		<p>150,0</p>
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სარაგბო კლუბი „ლონე“</p>		
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სარაგბო კლუბი „ლონე“ სარაგბო კლუბი „ლონე“ მიზნად ისახავს რაგბის პოპულარიზაციას, ჩოხატაურის რაგბის ტრადიციების აღდგენა განვითარებას, მასობრივი სპორტის ხელშეწყობას.</p>		
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>დამკვიდრებულია მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესი და გაზრდილია ინტერესი სპორტული ღონისძიებების მიმართ.</p>		

<p>პროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი</p>	<p>დაფინანსება ათას ლარში</p>
-----------------------------	-------------	-------------------------------

	05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1775,7
პროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ - კულტურის ცენტრი, ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლები, ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამისა და სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები ჩატარება.</p> <p>პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების განხორციელებისთვის საჭირო ხარჯები, დაფინანსდება კულტურის ცენტრი, სახელოვნებო სკოლების გაერთიანება, არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი, მოხდება საახალწლო ღონისძიებების გამართვა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების შენარჩუნება და დაცვა, სხვადასხვა გასართობი და კულტურული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ცენტრი	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 02		980,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ კულტურის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში მოეწყობა შემდეგი ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> - საშობაო, საახალწლო კონცერტი „შობის ჯადოსნური ღამე“ 6-7 იანვარი. - წლის ნომინაციები 14 იანვარი. - დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება 3 მარტი. - თეატრის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქცია 27 მარტი. - „დღე სამაგალითო ერთობის“ 27 მარტი. - დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება 14 აპრილი. - ღონისძიება ღია ცის ქვეშ - „აღდგომის კვირა“ - დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება 26 მაისი. 		

	<ul style="list-style-type: none"> - „ვაჩუქოთ ბედნიერება ბავშვებს“ 1 ივნისი. - „ვერეს ხეობის ტრაგედია“ - ივლიტა ჯიბუტის ხსოვნის საღამო 13 ივნისი. - „შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს“ 14 ივნისი. - სპექტაკლის პრემიერა. - ანსამბლებისა და სახალხო თეატრის გასვლითი კონცერტები სოფლებში - ფერიცვალების დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიება კურორტ ბახმაროში - 19 აგვისტო. - ლოტბარ რამინ მიქაბერიძის საღამო. - შემოდგომის ზეიმი. - გიორგობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი კონცერტი 23 ნოემბერი. - საანგარიშო კონცერტი. - კონცერტი ღია ცის ქვეშ 31 დეკემბერი. - ნოდარ დუმბაძის ფესტივალი. - ბავშვთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. - დუნდუას ანსამბლის კონცერტი. - საახალწლო ღონისძიებები.
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა, დაფინანსებულია სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები</p>

<p>ქვეპროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი</p> <p>05 02 09</p>	<p>ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლები</p>	<p>დაფინანსება ათას ლარში</p> <p>390,0</p>
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლები</p>		
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>მოსწავლეების მუსიკალურ ცოდნის გააღრმავება სხვადასხვა ჟანრებში: კლასიკურ, ვოკალურ, საფორტეპიანო და საორკესტრო ჯგუფებში.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება, მოსწავლეები მუსიკალურ ცოდნას გაიღრმავებენ სხვადასხვა ჟანრებში: კლასიკურ, ვოკალურ, საფორტეპიანო და საორკესტრო ჯგუფებში.</p> <p>მოეწყობა:</p> <ul style="list-style-type: none"> - მონაწილეობა გამოფენა-კონკურსში „ზამთრის ვერნისაჟი 		

	<ul style="list-style-type: none"> - მონაწილეობის მიღება ქ. თბილისში საქართველოს ხელოვანთა კავშირის „ხელოვნება მომავლისათვის“ „მომავლის ვარსკვლავები: მე-14 რესპუბლიკურ ფესტივალი შესარჩევ ტურში. - მონაწილეობის მიღება ჩეხოსლოვაკიის საერთაშორისო გამოფენა კონკურსში „ლიდიცე-2022“ - სტუმრად ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში(თემა, ჩანახატები) - საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი შიდა და სარაიონო ღონისძიება - სამუსიკო სკოლის საანგარიშო კონცერტი სინფონიურ ორკესტრთან ერთად - კონკურსი ეტიუდების დაკვრაში - გიორგობისადმი მიძღვნილი ღია კონცერტი - ღია საკარნავალო კონცერტი - საქართველოს ხელოვანთა კავშირის „ხელოვნება მომავლისათვის“ „მომავლის ვარსკვლავები“მე-14 რესპუბლიკურ ფესტივალის გალა კონცერტში მონაწილეობა. - საგაზაფხულო ერთკვირიანი პლენერი ბუნებაში - კონკურსი „ნორჩი დეკლამატორი 2022“ - საქართველოს საგუნდო საზოგადოების , საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მე-6 ეროვნული კონკურსის დაჯილდოვება და გალა კონცერტი. - პროექტი „მეგზური“ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურულ ძეგლებსა და ისტორიულ ადგილებზე ინფორმაციის მოძიება, შესწავლა.
მოსალოდნელი შედეგი	გაღრმავებულია მოზარდებში მუსიკალურ ცოდნა სხვადასხვა ჟანრებში: კლასიკურ, ვოკალურ, საფორტეპიანო და საორკესტრო ჯგუფებში

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 10		405,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა და პოპულარიზაცია; საბიბლიოთეკო გაერთიანების განვითარების ხელშეწყობა და არაფორმალური განათლების განვითარება.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მთლიანად ფინანსდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის განათლების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი განხორციელდება ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> - საახალწლო ღონისძიება - შეხვედრა ღვაწლმოსილ ადამიანებთან - 25 თებერვალი - ოკუპაციის დღე - ჩოხატაურში მცხოვრები მხატვრების კატალოგის გამოცემა - რეწვის ნიმუშების გამოფენა „ფერისცვალება“ - ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა - კალანდა გურიაში - ლეგენდები სახალხო გმირებზე „ბუკისციხელი მარიამ“ <p>საგანმანათლებლო ღონისძიება ქართული ენის დღესთან დაკავსირებით</p> <ul style="list-style-type: none"> - საგანმანათლებლო ღონისძიება „წვეპლის ჭურჭელი“ - სოფლად მცხოვრებ ქალთა საერთაშორისო დღის აღნიშვნა - საგანმანათლებლო ღონისძიება ქართული ენის დღესთან დაკავსირებით. - მთის საერთაშორისო დღე - ზემო გურიის მთიანი სოფლების ისტორია - მოსე გოგიბერიძის საიუბილეო საღამო - ნოდარ დუმბაძის იუბილე - საჯარო ლექცია ერისთავების შესახებ - საჯარო ლექცია ნიკო მარის სახლ-მუზეუმში. - საუბრები მწერლის სახლ-მუზეუმში-შეხვედრა მწერლებთან. <p>მოხდება საცნობარო და სპეც. ლიტერატურის, ჟურნალ გაზეთების, წიგნების შექმნა, რაც უზრუნველყოფს მკითხველთა მოთხოვნის დაკმაყოფილებას.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>დაცულია მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, დაფინანსებულია საბიბლიოთეკო გაერთიანება და გაზრდილია არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა</p>

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 03		65,1

პროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია
